მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი
სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №2

ქ. მარნეული

27.07.2021 წელი

სხდომის თავმჯდომარე: ზაურ ტაბატაძე /მერის მოვალეობის შემსრულებელი/

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

სხდომას ესწრებოდნენ: როინ დეკანოიძე/მერის მოადგილე/, ვუგარ მამედოვი /საფინანსოსაბიუჯეტო სამსახურის უფროსი/, დავით ხარშილაძე / ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ,ქონების მართვის განყოფილების უფროსი/, ბექა აბდელანი/ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი/, ილია ყალაბეგაშვილი /ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი/, გიორგი მეურმიშვილი / ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი /.

სხდომის დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაოს დაწყების მიზნით პროგრამებისა და ქვეპროგრამების ზღვრული მოცულობების განსაზღვრა; /მომხს.ვ.მამედოვი/

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა წარმოადგინა 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტისათვის საპროგნოზო შემოსულობები, სადაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ N 04-03/89431, 14/07/2021წერილით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოწოდებული 2022-2025 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, საშუალო წლიური ინფლაციის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ. ასევე გადასახდელების ნაწილი შემუშავებული 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ბაზაზე დაყრდნობით და 2021 წელს ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

სიტყვით გამოვიდნენ:

მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი იქნება ბაზა საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპებისათვის და დაავალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს იმოქმედოს სრულ კოორდინაციაში მერიის სამსახურებთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან, რათა დადგენილ ვადებში მომზადდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.

აზრი გამოთქვეს:

სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მზაობა იმოქმედონ შეთანხმებულად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად და მათ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების

ხარჯთაღრიცხვების დაზუსტების შემთხვევაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე,ან ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს ზღვრული მოცულობები.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი და მუნიციპალიტეტის სამსახურები შეუდგნენ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობას არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ საფუძველზე, წარმოდგენილი ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

გადაეგზავნოთ საბიუჯეტო ორგანიზაციებს ზღვული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, განაცხადის ფორმებზე მუშაობის დასაწყებად.

სხდომის თავმჯდომარე: ხაურ ტაბატაძე

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრეები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ეკგარ მამედოვი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ილია ყალაბეგაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დავით ხარშილაძე

ჯანდაცვის,სოციალური უზრუნველყოფის,კულტურის, სპორტის,ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი გიორგი მეურმიშვილი